ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის სხდომის

ო ქ მ ი N18

სხდომის ჩატარების დრო:
24 იანვარი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
ბესიკ ხამაშურიძე, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, მაია სიმონიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, გრიგოლ შუშანია, კობა გურული.

სულ: 10 წევრი.

არ ესწრებოდნენ: დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

სულ: 4 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გია ბასილაძე,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე,** საკრებულოს წევრი **ელეონორა არჩაია.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2023 წლის გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ;

2. ქალაქ ქუთაისში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩასა და სულხან-საბას გამზირის შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2023 წლის გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ"**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა:**

I კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	იანვარი
2	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	თებერვალი
3	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	თებერვალი
4	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების მდგომარეობის შესწავლის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	მარტი
5	ა) კომისიაში შემოსული კორესპონდენციის განხილვის შესახებ ბ) მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	მარტი

II კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი	აპრილი
2	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების მდგომარეობის შესწავლის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	აპრილი
3	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კომპანიის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კომპანიის“ ხელმძღვანელი	მაისი
4	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2023 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს თაობაზე	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	მაისი
5	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში არსებული მდგომარეობის განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	ივნისი
6	არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „პარკინგსერვისის“ ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ	არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის „პარკინგსერვისის“ ხელმძღვანელი	ივნისი

III კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	ივლისი
2	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ ხელმძღვანელი	ივლისი
3	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი	აგვისტო
4	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისის“ ხელმძღვანელი	სექტემბერი
5	ა) კომისიაში შემოსული კორესპონდენციის განხილვის შესახებ ბ) მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	სექტემბერი

IV კვარტალი

1	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო	ოქტომბერი

	კომისიის ანგარიში (2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე) გაწეული მუშაობის შესახებ	მეურნეობის კომისიის ხელმძღვანელი	
2	ზამთრის პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის განხილვის შესახებ	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი	ნოემბერი
3	კომისიაში შემოსული კორესპონდენციის განხილვის შესახებ	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	ნოემბერი
4	2024 წლის ბიუჯეტის პროექტით გასათვალისწინებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესახებ	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	დეკემბერი
5	მიმდინარე საკითხები	საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე	დეკემბერი

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მოწონებულ იქნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 2023 წლის გეგმა-გრაფიკის დამტკიცების შესახებ“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩასა და სულხან-საბას გამზირის შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩასა და სულხან-საბას გამზირის შემაერთებელი უსახელო მონაკვეთისა და ამ ტერიტორიაზე არსებული მოედნისათვის დავით ხახალეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **მზევინარ საცერაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **მ.საცერაძემ** აქვე განმარტა: „წარმოდგენილია ორი ერთეული ქონება, რომელიც ემატება საპრივატიზაციო ნუსხას, ესენია-სულხან-საბას გამზირზე 273 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი და ილია ჭავჭავაძის გამზირზე, გორგიას გვერდით არსებული ფართი, სამრეწველო შენობა. არსებობენ დაინტერესებული პირები, შემოსულია განცხადებები."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 9 წევრი, თავი შეიკავა ბატონმა გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **მზევინარ საცერაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **მ.საცერაძემ** აქვე განმარტა: „საპრივატიზაციო ნუსხას ემატება სამი ობიექტი, მათგან ორი ზემოაღნიშნული ქონება და კიდევ ერთი დამატებით მიწის ნაკვეთი, რომელზეც ასევე დაინტერესებული პირის განცხადებაა შემოსული და მდებარეობს გუგუნავას პირველ შესახვევში."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 9 წევრი, თავი შეიკავა ბატონმა გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **მზევინარ საცერაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **მ.საცერაძემ** აქვე განმარტა: „მთელი ქალაქის ტერიტორიაზე მოხდა ფასის მაჩვენებლების აღწერა და ამის მიხედვით გადავწყვიტეთ, რომ უპრიანი იქნება იჯარის ფორმით გავცეთ ეს ფასმაჩვენებლები ბიუჯეტში თანხების აკუმულირების მიზნით.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი ბატონი, **ზაქრო მამასახლისი** :„არის თუარა შესაძლებელი შემდეგ ამ იჯარით გადაცემულ ფართში რაიმე სახის კონსტრუქცია ჩადგან?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების ხელმძღვანელი, ქალბატონი **მზევინარ საცერაძე:** „ჯიხურს ვერ განათავსებს მოიჯარე, ვინაიდან ჩვენ იჯარით გადავცემთ არა მიწას, არამედ ფასმაჩვენებლის განთავსების უფლებას, ის კვადრატული მეტრობა რაც არის მითითებული, ეს არის თვითონ აღნიშნული ფასმაჩვენებლის ფართობი.“

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „იყო შემთხვევა, რომ უნებართვოდ ჰქონდათ აქამდე განთავსებული ეს ფასმაჩვენებლები?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების ხელმძღვანელი, ქალბატონი **მზევინარ საცერაძე:** „აღწერის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგს ჰქონდა ნებართვა და ზოგს კი არა. “

კომისიის წევრი, ბატონი **კობა გურული:** „1 კვადრატული მეტრის ფასი რამდენია?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების ხელმძღვანელი, ქალბატონი **მზევინარ საცერაძე:** „1 კვადრატულ მეტრზე 100 ლარია განსაზღვრული წლიურად, ფასმაჩვენებლის აბრის სიმაღლე გამრავლებული სიგანეზე რამდენიც იქნება, იმდენი 100 ლარი ექნება გადასახდელი თითოს, ამის მიხედვით სადღაც 60 000 ლარი შემოვა ქალაქის ბიუჯეტში.“

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „ვადა რამდენხნიანია?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების ხელმძღვანელი, ქალბატონი **მზევინარ საცერაძე:** „5 წლის ვადით გადავცემთ და 5 წლის შემდეგ კიდევ თავიდან გადაიხედება.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 10-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 9 წევრი, თავი შეიკავა ბატონმა გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი